

# გაკვეთილი 7

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

საკრედიტო პროდუქტები

ნაწილი 1

## საკრედიტო პროდუქტები

საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი გასცემს სესხებს. სესხის მიზნობრიობა შეიძლება იყოს ნებისმიერი მიზნობრიობის დაფინანსება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობისა. რით განსხვავდება კრედიტები მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის განსაზღვრული კრედიტები კორპორატიული კრედიტებისაგან? პირველ რიგში, ბანკის მიერ გამოყენებული რისკის შეფასების პრინციპებით. მცირე და საშუალო ბიზნესების დაკრედიტება, შედარებით მარტივად მიდის. თუ თქვენ წარადგენთ დოკუმენტების აუცილებელ პაკეტს და თქვენი ბიზნესი პასუხობს აღნიშნული ბანკის მიერ შემუშავებულ სტანდარტულ მოთხოვნებს, მაშინ ასეთი კრედიტის გაფორმება სულ 1-2 დღეშია შესაძლებელი (მაგალითად, როდესაც პატარა სესხი გაიცემა ფირმის ხელმძღვანელზე, როგორც ფიზიკურ პირზე). მაგრამ, თუ თქვენი კომპანია ვერ თავსდება სტანდარტულ სქემაში, კორპორატიული კლიენტებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია ყოველგვარი „ექსლუზიური“ შეთანხმებები. აქედან გამომდინარეობენ ყველა დანარჩენი განსხვავებები.

როგორი კრედიტია უფრო მომგებიანი? მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის გაცემული სესხები არ არის დიდი (გირაოს გარეშე გაცემული მიკრო-კრედიტების ზედა ზღვარი 15-20 ათასი დოლარია, ხოლო გირაოთი გამყარებული სესხებისათვის - 500 ათასი დოლარი). და, ამასთანავე, რისკის საფასურად ბანკი ფულს გასცემს გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ყველა კლიენტს როდი შეუძლია კორპორატიულის სტატუსის მიღება. ამისთვის საჭიროა, რომ მისი ბიზნესის წლიური ბრუნვა 2-3 მილიონს და მეტს შეადგენდეს (ეს ზღვარიც ბანკის პოლიტიკაზე დამოკიდებული).

ვის შეუძლია ჰქონდეს კრედიტის მიღების იმედი? მოთხოვნები მერყეობს ბანკის პოლიტიკის მიხედვით. კერძოდ, მსესხებლებისათვის დგინდება ბაზარზე საქმიანობის მინიმალური სტაჟი - თუნდაც 3-თვიანი, ხოლო უმეტეს შემთხვევებში არანაკლებ 1 წელიწადი. მნიშვნელობა აქვს კაპიტალის სტრუქტურასაც: სახელმწიფოს ან არარეზიდენტების წილი არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ ზღვარს, მაგალითად, 50%-ს. ჩვეულებრივ, ბანკები თანხმდებიან მხოლოდ მომგებიანი კომპანიების დაკრედიტებას, ამასთან, კრედიტზე ყოველთვიური გადასახადის რაოდენობა უნდა იყოს კომპანიის მიერ მიღებულ მოგებაზე ნაკლები. და შემთხვევათა უმეტესობაში ბანკები ითხოვენ, რომ სესხის ამღებ საწარმოს გააჩნდეს „ბიზნესის ლეგიტიმურობის“ გარკვეული დონე - მაგალითად, ოფიციალურ ანგარიშში ასახული უნდა რეალური მონაცემების არანაკლებ 50-60%-ისა. ჩვეულებრივ, კრედიტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს საკუთარი კაპიტალის 80 %-ს

### ბანკი გასცემს სესხებს შემდეგი მიზნობრიობით:

1. -საბრუნავი კაპიტალის შევსებისათვის;
2. -ძირითადი საშუალებების შესამენად-იპოთეკურს;
3. -ლომბარდულს;
4. -ავტოსესხს
5. -აგროსესხს
6. -სამომხმარებლო მიზნებისათვის;

**ბიზნეს-სესხი საბრუნავი კაპიტალის შესავსებად** დაგეხმარებათ ოპერატიულად მიიღოთ თქვენი ბიზნესისთვის საჭირო დაფინანსება. ძალიან ხშირად ამ ტიპის სესხებს იყენებენ ბიზნესები,

რომლებსაც დაუგვიანდათ გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი ანაზღაურების მიღება, ხოლო ფინანსური რესურსი აუცილებელია მათი შემდგომი საქმიანობისთვის.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეიძლება გქონდეთ ძალიან მომგებიანი შეკვეთა, მაგრამ მის შესასრულებლად ხელზე ნაღდი ფული არ გაგაჩნიათ. ამ შემთხვევაშიც შეგიძლიათ აიღოთ სესხი, რომელსაც შეკვეთიდან მიღებული მოგების ხარჯზე დაფარაფოთ.

ბიზნესის არასაკმარისი მოგება, ხშირად თქვენ მიერ წარმოებული ბიზნეს-ოპერაციების შედეგია. შესაბამისად, აუცილებელია გარკვეული ფინანსური რესურსი, რომელიც თქვენი ბიზნესის გაფართოებას და სათანადო მოგების მიღებას უზრუნველყოფს.

**ბიზნესის** სესხით შეგიძლიათ შეიძინოთ საბრუნავი საშუალებები (საქონელი), რომლებიც ბიზნესის გასაფართოებლად გესაჭიროებათ

**ბიზნეს-სესხი ძირითადი საშუალებების შესაძენად-იპოთეკური** იპოთეკური სესხი ძირითადად გამოიყენება უძრავი ქონების – სახლის, ბინის, აგარაკის, მიწის ნაკვეთის და ა.შ. შესაძენად.

იპოთეკური სესხები მრავლადაა ქართულ ბაზარზე და მას გასცემს თითქმის ყველა საფინანსო ინსტიტუტი. თანხა, რომელის მოძიებაც ამ კუთხით შეგიძლიათ იწყება 2000 \$ - დან და აღწევს 500 000 \$ - ს. არსებობს გამონაკლისებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია 500 000\$ - ზე მეტი მოცულობის სესხის დამტკიცებაც.

სესხის აღება დამოკიდებულია თქვენს შემოსავლებზე, საკრედიტო ისტორიაზე და შესაძენი ქონების ღირებულების თანაფარდობაზე მოთხოვნილი კრედიტის მოცულობასთან. იპოთეკური სესხის დაფარვის ვადები 1-დან 20 წლამდე მერყეობს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბანკო სისტემაში იშვიათია 10 წელზე ხანგრძლივი ვადით იპოთეკური სესხების გაცემის შემთხვევები.

ზოგადად, როგორც სესხის დაფარვის გრაფიკი, ასევე საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე, მსესხებლის შემოსავლების სტაბილურობაზე, უზრუნველყოფის ღირებულებასა და ლიკვიდურობაზე, ასევე სხვა რისკ-ფაქტორებზე.

### **ავტოსესხი**

ავტოსესხი წარმოადგენს სამომხმარებლო დაკრედიტების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეს. ესაა მიზნობრივი სესხი, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტს შეიძინოს მისთვის სასურველი როგორც ახალი, ასევე მეორადი ავტომობილი.

ქართულ საფინანსო ბაზარზე არსებული თითქმის ყველა ბანკი გასცემს ასეთ ტიპის სესხებს სხვადასხვა შემოსავლების და სოციალური მდგომარეობის მქონე კლიენტებზე.

**ძირითადი მოთხოვნები** ავტო-სესხის მისაღებად არის:

- პოტენციური კლიენტის სრულწლოვანება;
- მინიმალური შემოსავლის არსებობა;
- კარგი საკრედიტო ისტორია;
- თანამონაწილეობა;

წლიური % ავტო სესხზე, მინიმალური ყოველთვიური შემოსავლის მოცულობა და კლიენტის თანამონაწილეობა სასურველი ავტომობილის შესაძენად, განისაზღვრება ინდივიდუალურად კონკრეტული ბანკის მიერ – შესაძენი ავტომობილის ღირებულების, კლიენტის შემოსავლების საერთო ოდენობისა და მისი ბანკთან ურთიერთობისაბის გამოცდილების გათვალისწინებით.

ავტო-კრედიტის უზრუნველყოფას როგორც წესი შეძენილი ავტომობილი წარმოადგენს და სესხის სრულ დაფარვამდე მასზე ბანკის გირავნობა რჩება.

ავტო-კრედიტით სარგებლობის ვადა 1-დან 5 წლამდე მერყეობს. სესხით სარგებლობის პერიოდში ავტომობილი სავალდებულო წესით იზღვევა, დაზღვევის თანხის ოდენობა კი ავტომობილის ღირებულების პირდაპირპროპორციულია.

**აგრო სესხი წარმოადგენს ბანკის სასესხო პროდუქტს, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით დაკავებულ პირთა დაკრედიტებაზე**

პროდუქტის დამახასიათებელი ნიშანია სესხის დაფარვის გრაფიკის მოქნილობა, რაც გულისხმობს, მსესხებელთათვის სეზონურობისა და მოსავლიანობის გათვალისწინებით სესხის დაფარვის ინდივიდუალური გრაფიკის შეთავაზებას.

სესხის მოცულობიდან და მეურნეობის ტიპიდან გამომდინარე შესაძლებელია ბანკის მხრიდან დამატებით მოთხოვნილ იქნას გირაოს სახით სესხის იპოთეკით უზრუნველყოფა იმისათვის, რომ კლიენტმა ისარგებლოს აგრო სესხით, აუცილებელია აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- კლიენტი ჩართული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, ან ეწეოდეს შესაბამის მომსახურებას სოფლის მეურნეობის სექტორში, მინიმუმ ბოლო 2 წლის განმავლობაში
- კლიენტის შემოსავლის წყაროს უმეტეს ნაწილს უნდა წარმოადგენდეს აგრობიზნესი
- თუ კლიენტი სოფლის მეურნეობის საქმიანობის პარალელურად ჩართულია სხვა ბიზნესშიც, საფერმერო საქმიანობა აგრო ბიზნესად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლები ამ საქმიანობიდან ჯამური შემოსავლების 50%-ზე მეტია

**გაითვალისწინეთ!** — იქედან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის საქმიანობის დაფინანსება საკმაოდ რისკიანია და უმეტეს შემთხვევაში კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული შესაბამისად ბანკის მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთი ჩვეულებრივ ბისესსესხთან შედარებით მაღალია (2-4 %-ით) და გადაჯ შეზღუდულია. სტანდარტულად მაქსიმალური გადა აგროსესხზე 36 თვეა, გამონაკლის შემთხვევებში 60 თვე.

**სალომზარდე კრედიტი** დამფინანსებელსა და მსესხებელს შორის ურთიერთობის ყველაზე ძველი ფორმაა, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. კლასიკური გაგებით ესაა მოკლევადიანი და სწრაფი სესხი, რომლის ვადები ძირითადად 1–დან 12 თვემდე მერყეობს.

სალომზარდე კრედიტი არის სესხი ფიქსირებულ თანხაზე, რომელსაც დამფინანსებელი (ბანკი, ფინანსური ინსტიტუცია, კერძო დამფინანსებელი) აძლევს მსესხებელს გარკვეული ვადით და გარკვეული ქონების ან საკუთრების უფლების (ნივთები, ამათუიმ საქონლის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.) გარანტიით.

სალომზარდე კრედიტის აღების დროს, გარდა საკრედიტო ხელშეკრულებისა, რომელშიც მითითებულია საპროცენტო განაკვეთი, სესხის მოცულობა, დაფარვის ვადები და პირობები – ფორმდება ხელშეკრულება ამა თუ იმ ნივთის ან ფასიანი ქაღალდის კრედიტის უზრუნველყოფის სახით სესხის ვადის ამოწურვამდე მსესხებლის დროებით მფლობელობაში გადასვლის თაობაზე.

სალომზარდე კრედიტის დაფარვა შესაძლებელია როგორც მთლიანად, ასევე ნაწილ–ნაწილ და ეს პირობები მთლიანადაა დამოკიდებულია დამფინანსებლის სურვილზე.

**რით განსხვავდება სალომზარდე კრედიტი ჩვეულებრივი სამომზარებლო სესხისგან?**

სალომზარდე კრედიტის პირველი მახასიათებელი სესხის სწრაფი გაფორმება და მოკლევადიანობაა – სესხის ვადის გაგრძელება რათქმაუნდა შესაძლებელია – ოღონდ დამფინანსებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

ასევე არაა რეკომენდებული თანხის გადახდის დადგენილი ვადების გადაცილება, რადგან ამ შემთხვევაში დამფინანსებელი უფლებამოსილია მარტივად გაყიდოს ან გაასხვისოს უზრუნველყოფაში არსებული ქონება.

სალომზარდე კრედიტის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მაღალი საპროცენტო განაკვეთი – სწორედ ამიტომ, რომ ამ ტიპის სესხი გრძელვადიანი არასდროს არ არის.

მესამე მახასიათებელი ესაა უზრუნველყოფა. სესხის თანხა როგორც წესი შეადგენს უზრუნველყოფაში ჩადებული ნივთის 50-70%-ს, ძალიან იშვიათად ღირებულების ნახევარზე მეტს. ძირითადად საკრედიტო დაწესებულებებში შესაძლებელია ძვირფას ნივთების, ავტომობილების ან ისეთი უძრავი ქონების უზრუნველყოფაში დატოვება, რომელიც ყოველთვის ლიკვიდურია. აქვე უნდა აღინიშნოს, შესაძლებელია დატოვით მხოლოდ დოკუმენტაცია ავტომობილის ან უძრავი ქონების ფლობაზე, ხოლო რეალურად მისით თქვენ ისარგებლოთ.

სალომბარდე კრედიტის მისაღებად არაა საჭირო ყოველთვის შემოსავლების დადასტურება – საკმარისია მხოლოდ თქვენი პირადობის მოწმობა და უზრუნველყოფაში დასატოვებელი ნივთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ ეს მოითხოვება). დამფინანსებელი თქვენთვის საჭირო თანხას გადმოგცემთ მომენტალურად – უზრუნველყოფის შეფასებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

**სამომხმარებლო სესხი** – იგივეა რაც პირადი სესხი. ამ ტიპის სესხი საშუალებას აძლევს ადამიანს გამოიყენოს ის პირადი მოხმარებისათვის, თან ისე რომ გამცემი საფინანსო ინსტიტუტი, პრაქტიკულად, ამ სესხის მიზნობრიობას არ აკონტროლებს.

პირადი სესხი ძირითადად მცირე მოცულობისაა და უზრუნველყოფის გარეშე არ აღემატება 10 000\$ - ს, ხოლო უზრუნველყოფის გარანტიით შესაძლებელია სესხის მოცულობის 30 000 \$ - მდე გაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ სამომხმარებლო სესხი უფრო მოკლევადიანია და მაღალ პროცენტში გაიცემა, ვიდრე მაგალითად ავტო ან იპოთეკური სესხი.

სამომხმარებლო სესხის უპირატესობა ის არის, რომ მისით სარგებლობა საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს შეუძლია და ამასთან, ნებისმიერი სახის შემოსავლის საფუძველზე. ამ ტიპის სესხის ასაღებად საჭიროა, პიროვნებას ერიცხებოდეს ხელფასი, ან ჰქონდეს შემოსავალი ბიზნესიდან /საოჯახო მეურნეობიდან, ან სარგებლობდეს უცხოეთიდან ფულადი გზავნილებით, ა.შ.

არსებობს ორი ტიპის მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხი: უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე. როგორც წესი, ორივე ტიპის სესხი უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთში გაიცემა ვიდრე გრძელვადიანი სესხები; თუმცა, ასეთი სესხის პრივილეგია მისი მოკლევადიანობაა, რაც მსესხებელს საშუალებას აძლევს უფრო სწრაფად დაფაროს იგი.

#### **სამომხმარებლო სესხი უზრუნველყოფით**

უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის შემთხვევაში, კრედიტორი სესხს გიმტკიცებთ გარკვეული ქონების (ბინა, მანქანა ა.შ.) უზრუნველყოფის საფუძველზე. უზრუნველყოფილი სესხი ნაკლებად რისკიანია ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რადგან თუ თქვენ ვერ დაფარავთ სესხს, კრედიტორს შეუძლია დაუფარავი თანხა თქვენ მიერ უზრუნველყოფაში ჩადებული ქონებიდან ამოიღოს.

უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი საუკეთესო გზაა სწრაფად მიიღოთ საჭირო თანხა დაბალ საპროცენტო განაკვეთში.

უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი შეგიძლიათ გამოიყენოთ, როგორ თანხის გადაუდებელი პირადი საჭიროების, ასევე ნებისმიერი არსებული სასესხო დავალიანების გადაფარვის აუცილებლობის შემთხვევაშიც.

აღსანიშნავია, რომ ცუდი საკრედიტო ისტორიის ქონის შემთხვევაშიც კი შეგიძლიათ ასეთი ტიპის სესხის მიღება, თუ მას ძვირადღირებული აქტივით უზრუნველყოფთ.

#### **სამომხმარებლო სესხი უზრუნველყოფის გარეშე**

თუ არ გააჩნიათ უზრუნველყოფისთვის საჭირო ქონება ან არ გსურთ თქვენი ქონებით უზრუნველყოთ სესხი, შეგიძლიათ აირჩიოთ სამომხმარებლო სესხი უზრუნველყოფის გარეშე.

არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის გაცემა კრედიტორისთვის უფრო რისკიანია, რადგან მსესხებლის გადახდის უნარობის შემთხვევაში, კრედიტორს არ გააჩნია

დავალიანების ამოღების არანაირი გარანტია. შესაბამისად, ამ რისკის კომპენსირებისთვის, ბანკები უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს ითხოვენ, ვიდრე უზრუნველყოფით გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე.

**გაითვალისწინეთ!** თუ ამ ტიპის სესხის აღებას დააპირებთ, აუცილებლად მოძებნეთ ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, იმიტომ, რომ სამომხმარებლო სესხზე საპროცენტო განაკეთი ჩვეულების სესხთან შედარებით გაცილებით მაღალია. ასევე გაითვალისწინეთ სესხთან დაკავშირებული საკომისიოები და ჯარიმები.